



ეკა კვესიტაძის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ
მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა და მანკიერ პრაქტიკას
ადგენს

ეკა კვესიტაძის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა და მანკიერ პრაქტიკას ადგენს

თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ეკა კვესიტაძის სააპელაციო საჩივარი და ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ჟურნალისტის სამსახურიდან გათავისუფლება კანონიერად შეფასდა. ამასთან, სამუწყებლო კომპანია **DP** 2 **სა** მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მხოლოდ ნამუშევარი პერიოდის სახელფასო ანაზღაურების გადახდა, ხოლო, მუწყებლის სასარგებლოდ ჟურნალისტს 25 000 ლარის ანაზღაურება დაევალა შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, რაც გულისხმობდა ჟურნალისტის ახლადშექმნილ სამუწყებლო კომპანიაში („მთავარი არხი“) მუშაობის დაწყებას.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ეკა კვესიტაძის სამსახურიდან გათავისუფლება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



უკავშირდებოდა მაუნყებელში მენეჯმენტის ცვლილების შემდეგ მთელ რიგ საკადრო ცვლილებებს. 2012 წლის 20 აპრილს არხის ახალმა მენეჯმენტმა მსგავსი ტიპის გადაწყვეტილება საინფორმაციო სამსახურის სხვა თანამშრომლების მიმართაც მიიღო და ეს გადაწყვეტილება ახსნა ინტერესთა კონფლიქტით. მოსარჩელე, სხვა ცნობილ ჟურნალისტებთან ერთად გახდა დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი, რომლის მთავარი მიზანი იყო მისი და სხვა კოლეგების სამაგალითო დასჯა ჟურნალისტური საქმიანობის შინაარსიდან და მისი კრიტიკული ხასიათიდან გამომდინარე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების ეტაპზე, არ გაუკეთებია რაიმე განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რა გარემოებებს დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღებისას. საია მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ არის შესაბამისი შრომის კანონმდებლობასთან, რის გამოც, იგი უკანონოა და ადგენს მანკიერ პრაქტიკას.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების შემდგომ, ევა კვესიტაძე მას გაასაჩივრებს საკასაციო წესით. ჟურნალისტის უფლებებს სასამართლოში საია იცავს.